№2560 2014 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ქონების აუქციონის გარეშე, ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტს, შპს „ქეთა 1971“-ს (ს/კ 405013006) არა უმეტეს 1 წლის ვადით, სასადილოს მოსაწყობად, გადასცეს დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-11 კმ-ზე მდებარე შენობა-ნაგებობის მე-6 სართულზე არსებული 254 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: 01.72.14.034.182) და სასადილოს ინვენტარი.

2. ქონების სარგებლობაში გადაცემის წლიური საფასური განისაზღვროს „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**